

შპს ნიუ დიჯიტალ ტექნოლოჯიზ
2023 წელი

საიდენტიფიკაციო კოდი: 405225439

შპს ნიუ დიჯიტალ ტექნოლოჯიზ (MyCoins.ge) დაარსა სს იმანი ჯორჯიამ (სკ 202376026) იმისათვის რომ მომხმარებელმა მარტივად შეძლოს საქართველოში კრიპტოვალუტით ვაჭრობა.

MyCoins.ge არის თქვენი ახალი #კრიპტოსივრცე, ვებ გვერდი რომელიც საშუალებას გაძლევთ მართოთ კრიპტოსავალუტო ოპერაციები და უმარტივესად იყიდოთ, გაყიდოთ, მიიღოთ ან გააგზავნოთ თქვენთვის სასურველი კრიპტოვალუტა.

MyCoins.ge სპეციალურად კრიპტოვალუტის მომხმარებლებისთვის შეიქმნა და არ არის გადატვირთული არარელევანტური სერვისებითა და ფუნქციებით, რაც ამარტივებს მის გამოყენებას, მოსახერხებელს ხდის სასურველი ოპერაციების განხორციელებას და საშუალებას გაძლევთ უფრო მარტივად აკონტროლოთ თქვენი ტრანზაქციები. MyCoins.ge სხვა პოპულარულ კრიპტოსერვისებთან ერთად საქართველოში პირველად გთავაზობთ შეჩერების დავალების დარეგისტრირების შესაძლებლობას, რაც დაგეხმარებათ დააზღვიოთ კრიპტოსავალუტო ოპერაციებთან დაკავშირებული რისკები და დაზოგოთ დრო (რომელსაც საბაზრო კურსის მუდმივად შემოწმებით კარგავდით) სასურველი ყიდვა/გაყიდვის კურსის დაფიქსირებით, რომელზეც #თქვენიკრიპტოსივრცე ავტომატურად გიყიდით ან გაგიყიდით მითითებულ კრიპტოვალუტას.

MyCoins.ge-ს გამოყენება შესაძლებელია როგორც ახალი, ასევე eMoney.ge-ზე უკვე დარეგისტრირებული მომხმარებლებისთვის არსებული იუზერის და პაროლის გამოყენებით, საიდანაც უცვლელად გადმოვა ყველა კრიპტოვალუტის მისამართი, ყოველგვარი დამატებითი ხარჯებისა და პირობების ცვლილებების გარეშე.

MyCoins.ge ახალი, გამარტივებული ვებგვერდია თქვენს ინტერესებზე მორგებული ფუნქციონალებით და მოსახერხებელი ნავიგაციით. შეიძინეთ, გაყიდეთ, მიიღეთ ან გააგზავნეთ ბიტკოინი (BTC), ეთერიუმი (ETH), დეში (DASH), რიპლი (XRP), ეოსი (EOS), ლაითკოინი (LTC), ბიტკოინ ქეში (BCH) და სტელარი (XLM) MyCoins.ge-ს საშუალებით.



კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე. მის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის. უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753
2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844

ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს-ის შესაბამისად. ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები შემდეგია:



ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
სამზარეულოს ინვენტარი და მანქანა-დანადგარები	3
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა და ნაგებობები	8
ოფისის აღჭურვილობა	8
ავეჯი და სხვა ინვენტარი	8

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების ვადა; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი მოგება ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს პატენტსა და პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიას. ცალკეული არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივები ამორტიზირდება სასარგებლო მომსახურების 5 წლიანი ვადის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების ნიშნების არსებობისას.

მარაგები

კომპანია მარაგებად აღრიცხავს იმ აქტივებს, რომლებიც კომპანიას გააჩნია რეალიზაციის მიზნით. მისი საქმიანობიდან გამომდინარე, კომპანიას გააჩნია როგორც მზა პროდუქცია, ასევე ნედლეული და ნახევარფაბრიკატები. მარაგის აღრიცხვა ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია თითოეული საქონლის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.



ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს. ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი, რომლის შემოღების მიზანი იყო გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარება და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

ძირითად სიახლეს წარმოადგენს საწარმოთა მოგების დაბეგვრის გადავადება იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება, მაშინ, როცა ძველი მოდელის მიხედვით, კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით.

მოგების გადასახადის 15 პროცენტიანი განაკვეთი უცვლელი დარჩა, თუმცა, ტექნიკურად, გადასახადი გაანგარიშდება დასაბეგრი განაცემის თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით.

დაბეგვრის ახალი მოდელი ეხება ყველა საწარმოს, გარდა კომერციული ბანკებისა, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, საკრედიტო კავშირებისა, ლომბარდებისა, “ნავთობისა და გაზის შესახებ” კანონით დადგენილი შესაბამისი საწარმოებისა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტოტალიზატორებისა.

სესხები

სესხების თავდაპირველი აღიარება ხდება მიღებული თანხით, რომელსაც აკლდება საკომისიო და სესხის აღების ტრანზაქციასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). სესხების შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

შემოსავალი რეალიზაციიდან

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვეთოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი ფასდათმობა. როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და



ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი გულისხმობს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და წლიური ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმომ დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი უნდა აღიაროს, როგორც ვალდებულება და როგორც პერიოდის ხარჯი.

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, რეკლამისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.



ფინანსური უწყისი 2023

	2022	2023
ფული		5,748,398
ფული ბანკში	4,455,073	5,748,398
დებიტორული დავალიანება	462,716	1,463,824
დებიტორული დავალიანება	453,426	1,463,824
სხვა დებიტორი	9,290	-
წინასწარ გადახდები		
წინასწარი ხარჯები		
სხვა		
საგადასახადო აქტივი	11,884	89,176
გრძელვადიანი აქტივი	3,166,031	3,466,031
ძირითადი საშუალებები		
ოფისის აღჭურვილობა		
ოფისის ცვეთა		
გრძელვადიანი აქტივი	3,050,469	3,050,469
არამატერიალური აქტივი	115,562	415,562
არამატერიალური აქტივი	115,562	415,562
ამორტიზაცია		
სულ აქტივი	8,095,704	10,767,429
სულ ვალდებულება	339,556	576,308
მოკლევადიანი ვალდებულება	339,556	576,308
კრედიტორული დავალიანება	339,556	576,308
მაიქონისი		
გადასახდელი ხელფასები		
სხვა		
საგადასახადო ვალდებულება		
სულ კაპიტალი	7,756,148	10,191,122
კაპიტალი		
კაპიტალი	6,684,584	7,756,149
პრემიუმი		
დივიდენდები		
მოგება-ზარალი		
მოგება-ზარალი	1,071,564	2,434,973
სულ ვალდებულება და კაპიტალი	8,095,704	10,767,429

2022

2023

სულ შემოსავალი	8,058,744	2,874,597
იურიდიული პირები	932,321	76,279
ფიზიკური პირები	6,770,822	2,448,832
კრიპტო ოპერაციები	355,601	349,487
საბანკო საკომისიოები	-	-
სხვა	-	-
საკომისიო ხარჯები	3,581,518	1,001,002
ბანკის საკომისიო	353,379	34,234
ბიზნეს საკომისიო	1,081,700	143,281
კრიპტო საკომისიო	269,874	72,977
იმანის ხარჯი	1,876,565	750,510
ბანკთან დაკავშირებული საკომისიო	-	-
საღდო	4,477,226	1,873,594
ადმინისტრაციული და გაყიდვების ხარჯი	569,283	1,709,989
ხელფასი	471,375	694,588
ბონუსი	97,908	2,584
მარკეტინგი და რეკლამა	98,742	85,471
გაქირავება		132,984
სერვერის ხარჯი	475,758	527,539
საკონსულტაციო	533,871	71,879
საკომუნიკაციო	7,901	8,817
სმს ხარჯი	24,420	11,400
ბიზნეს მოგზაურობა		21,490
საიტის ხარჯი		87,930
სხვა საოპერაციო	44,842	65,308
მოგება პროცენტამდე და ცვეთამდე	2,722,409	163,605
ცვეთა	317	-
მოგება პროცენტამდე	2,722,092	163,605
სხვა საოპერაციო	46,017	-
მოგება ბონუსამდე	2,676,075	163,605
ბონუსი	119,205	-
ბონუსის შემდგომი მოგება	2,556,870	163,605
FX შემოსავალი (ხარჯი)	(1,483,780)	(2,271,367)
მოგება დაბეგვრამდე	1,073,089	2,434,973
სხვა გადასახადები	1,526	-
მოგება (ზარალი)	1,071,564	2,434,973

1. ფულის ანგარიში

ჯურნალი	ანგარიში	დასახელება	ვალუტა	2023
1210	100001023	TERA-მიმდინარე-GE87KS0000000360205938-GEL-M	GEL	1
1210	100001050	CARTU-მიმდინარე-GE98CR00000009520023602-GEL-M	GEL	3,524
1210	100001056	LB-მიმდინარე-GE30LB0113155464094000-GEL-M	GEL	82,113
1210	100001058	BOG-მიმდინარე-GE14BG0000000255458400-GEL-M	GEL	4,589
1210	100001063	BOG-მიმდინარე-GE29BG0000000548489407-GEL-M	GEL	4,862
1220	100001030	MYCOINS.GE ვირტუალური ანგარიში (BTC)	BTC	0
1220	100001048	BOG-ზიზნეს ბარათი-GE11BG0000000499222170-USD-M	USD	15,447
1220	100001049	LB-მიმდინარე-GE03LB0113155464094001-USD-M	USD	216
1220	100001050	CARTU-მიმდინარე-GE22CR00000009520023612-EUR-M	EUR	2,630
1220	100001050	CARTU-მიმდინარე-GE22CR00000009520023612-USD-M	USD	22,015
1220	100001051	MYCOINS.GE BITSTAMP (EUR)	EUR	1,103
1220	100001051	MYCOINS.GE BITSTAMP (USD)	USD	229,995
1220	100001052	MYCOINS.GE BITSTAMP CARDANO (ADA)	ADA	5,200
1220	100001052	MYCOINS.GE BITSTAMP (BCH)	BCH	13
1220	100001052	MYCOINS.GE BITSTAMP (BTC)	BTC	4
1220	100001052	MYCOINS.GE BITSTAMP (ETH)	ETH	43
1220	100001052	MYCOINS.GE BITSTAMP (LTC)	LTC	495
1220	100001052	MYCOINS.GE BITSTAMP (MTC)	MTC	41,023
1220	100001052	MYCOINS.GE BITSTAMP (UST)	UST	150,082
1220	100001052	MYCOINS.GE BITSTAMP Stellar (XLM)	XLM	276,496
1220	100001052	MYCOINS.GE BITSTAMP (XRP)	XRP	8,863
1220	100001053	MYCOINS.GE CARDANO WALLET(ADA)	ADA	142,635
1220	100001053	MYCOINS.GE BITCOIN CASH WALLET (BCH)	BCH	466
1220	100001053	MYCOINS.GE BITCOIN WALLET (BTC)	BTC	11
1220	100001053	MYCOINS.GE EOS.IO WALLET(EOS)	EOS	47,452
1220	100001053	MYCOINS.GE ETHEREUM WALLET (ETH)	ETH	326
1220	100001053	MYCOINS.GE LITECOIN WALLET (LTC)	LTC	3,411
1220	100001053	MYCOINS.GE MATIC WALLET (MTC)	MTC	(2,407)
1220	100001053	MYCOINS.GE TRON WALLET	TRX	12,308
1220	100001053	MYCOINS.GE Tether WALLET (UST)	UST	272,828
1220	100001053	MYCOINS.GE WALLET(WIVA)	WIV	112,332
1220	100001053	MYCOINS.GE DOGECOIN WALLET (DOGE)(XDG)	XDG	4,757,837
1220	100001053	MYCOINS.GE DASH WALLET(DASH)(XDS)	XDS	919
1220	100001053	MYCOINS.GE STELLAR WALLET (XLM)	XLM	473,695
1220	100001053	MYCOINS.GE RIPPLE WALLET (XRP)	XRP	157,156
1220	100001054	MYCOINS.GE ETHEREUM COLD WALLET (ETH)	ETH	138
1220	100001054	MYCOINS.GE LITECOIN COLD WALLET (LTC)	LTC	6,157
1220	100001054	MYCOINS.GE RIPPLE COLD WALLET (XRP)	XRP	30
1220	100001057	BOG-მიმდინარე-GE14BG0000000255458400-EUR-M	EUR	781
1220	100001057	BOG-მიმდინარე-GE14BG0000000255458400-UAH-M	UAH	23,500
1220	100001057	BOG-მიმდინარე-GE14BG0000000255458400-USD-M	USD	66,436
1220	100001061	MYCOINS.GE mycoinstest1 საოპერაციო	EOS	11
1220	100001082	MYCOINS.GE BITSTAMP LIMITED შუამავალი ბანკი GORENJS	EUR	650
1220	100001083	MYCOINS.GE KRAKEN (EUR)	EUR	90,125
1220	100001083	MYCOINS.GE KRAKEN (USD)	USD	100
1220	100001084	MYCOINS.GE BITFINEX (ADA)	ADA	107,008
1220	100001084	MYCOINS.GE BITFINEX (BTC)	BTC	0
1220	100001084	MYCOINS.GE BITFINEX (EOS)	EOS	(139)
1220	100001084	MYCOINS.GE BITFINEX (TRON)	TRX	2,020
1220	100001084	MYCOINS.GE BITFINEX (USD)	USD	86,941
1220	100001084	MYCOINS.GE BITFINEX (UST)	UST	6,782
1220	100001084	MYCOINS.GE BITFINEX (XDG)	XDG	189,105
1220	100001084	MYCOINS.GE BITFINEX (XDS)	XDS	300
1220	100001086	BITCOIN COLD WALLET (BTC) New - BTC	BTC	151
1220	100001086	XRP COLD WALLET (XRP) New - XRP	XRP	1,899,999
1220	100001087	MYCOINS.GE BINANCE (UST) USDT Tether	UST	9,161
1220	100001088	BITMART (USDT)	UST	35
1220	100001088	BITMART (WIVA)	WIV	1,521,140
1220	100001091	Bittrex (ADA) (CARDANO)	ADA	20,438
1220	100001091	Bittrex (EUR)	EUR	6,852
1220	100001091	Bittrex (LTC)	LTC	0
1220	100001091	Bittrex (USD)	USD	121,771
1220	100001091	Bittrex (UST) (Tether)	UST	10,628
1220	100001091	Bittrex (XDG) (DOGE)	XDG	181,612
1220	100001095	FTX.COM	EUR	10,000
1220	100001095	FTX.COM	USD	84,639
1220	100001095	FTX.COM DOGE (XDG)	XDG	445,780

2. მთავარი დებიტორები

ანგარიში	დასახელება	ვალუტა	2023
110001027	FROM eMoney TO MyCoins	GEL	192,310
110001099	მისაღები თანხები iplus	GEL	(2,018)
110001100	სს იმანი ჯორჯია (დებიტორული დავალიანება)	GEL	101,327

3. მთავარი კრედიტორები

ანგარიში	დასახელება	ვალუტა	2023
311001001	GOOGLE.COM	EUR	(25)
311001001	GOOGLE.COM	USD	(269)
311001004	შპს Cloud9	GEL	870
311001007	შპს მაიფონი	GEL	231
311001008	სს იმანი ჯორჯია	GEL	(64,027)
311001050	შპს ნოქსტონ	GEL	(6,037)
311001056	atlassian bitbucket	USD	550
311001089	AMAZON.COM	USD	(12,777)
311001105	შპს დავთარი 405349305	GEL	(9,440)
311001106	შპს ავიაქსელი ტური 412751133	GEL	0
311001110	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შპს "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი"	GEL	0
311001111	Individual Entrepreneur Nurmoldin Dauren Zhomartovich - 8904	EUR	16,685
311001115	შპს ანტრეპრენიორ საქართველო - 402072323	GEL	(350)
311001116	GOOGLE ADS	USD	(1)
311001350	სახელმწიფო ბაზინა 101001000	GEL	73,986